№ 254
ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 254
ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულებისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 24-ს ნოემბერს.

ქვრივი ნინო პავლეს ასული აბესალოვისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 24 ნოემბერს, ქ. ქუთაისში, წმ. გიორგის ეკკლესიაში, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სპირიდონ გიორგის ძის აბესალოვის

სულის მოსახსენებლად. (1—270—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ტასო აბაშიძეს საბენეფისოდ

მ. აბაშიძისა და სხვათა მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

I

სანატრელი ცოლი

კომედია 3 მოქმედებად, მარკო პრაგასი, თარგ. ავ. ცაგარლისა

II

პარიზელი კინტო

კომედია 2 მოქ. ბაიარისა, თარგ. მ. ჯორჯაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარ...რეთელისა, ნებიერიძისა და სხვნი; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონი..., გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი,

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება „კოროლევის მორთული ოთახები“, „შვილის ცოდოსათვის“. (1—უ.—2)

მკურნალი
...ხეილ გედევანიშვილი
...ილებს ავადმყოფებს დილით—...2—1, საღამოთი 6—7. ყოროლ...ვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტე...ეფ. 791. (ნ.)

ქართველთა ქალთა ამხანაგობის
...მკერვალოში და სახელოსნო სკო...აში იღებენ ყოველგვარ საქმ...ებს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ...საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12. (20—უ—6)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

...ზაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

...ვადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ...დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

...ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ...ოსტაქრო ,ვენერიული (სიფილი...) და საშარდეს ავადმყოფობანი.

...უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ ...ულებანი: თვალისა, შინაგანი და ...ვშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Пэрвая частная лечебница—д-ра
Навасэрдіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

...ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...აგიშაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ბ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბებთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი. —შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ, ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—7)

თავად-აზნაურთა შვილების ალსაზრდელად

უმაღლესად ნაბოძების ფულის განაწილების შესახებ.

—

ჩვენი საზოგადოება დიდის გულმოდგინებით თვალ-ყურს ადევნებს ბაასს იმის თაობაზე, თუ რა დანიშნულება მიეცემა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების თავად-აზნაურთა შვილების ალსაზრდელად უმაღლესის რესკრიპტით ნაბოძებს თანხას. მწერლობა გულწრფელად და მჭერმეტყველის ფაქტებით გვიმტკიცებს მრავალ გვარ საჭიროებას ჩვენის ახალთაობის აღზრდის განსაუმჯობესებლად, სამართლიანად გვიჩვენებს იმ სასწავლებლებს, რომელთა დაარსებას, შესაძლებელია მოჰყვეს განმტკიცება ჩვენის გონებრივის და ეკონომიურის ჯანმრთელობისა.

ყველასათვის აშკარაა, რომ ამ უკანასკნელ ხანში სწავლის სურვილი ჩვენში მეტად გაძლიერდა. სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი ლეგიონია, ხოლო სკოლების რაოდენობა—მეტად მცირეა, რომ ამ ყრმათა სწავლის სურვილი დააკმაყოფილოს. ამიტომაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნაბოძების თანხის საშუალებით უნდა დაარსდეს ისეთის ტიპის სკოლა, რომელიც მისცემს შეძლებას თავად-აზნაურობას საუკეთესოდ მოაწყოს თავის შვილების აღზრდის საქმე. ჩვენი ერის მონებრივ და ეკონომიურ წარმატების მსურველნი საჭიროდ სთვლიან დაარსებულ იქმნას მოხსენებულ თანხის დახმარებით: ზოგი—ქალების სკოლა, ზოგი—სამეურნეო სასწავლებელი, ზოგი—გორსა და თელავში—პროგიმნაზიები და მოსამზადებელი პანსიონები, ზოგი კი თხოულობს, რომ ნაბოძები თანხა აწინდელის სათავად-აზნაურო სკოლების ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად იქმნას გადადებული.

თვითოეულ დასახელებულ სასწავლებლის დაარსების საჭიროება უტყუარის საბუთებით დამტკიცებულია. დიალამც რომ ეხლანდელს მდგომარეობაში მყოფ ქართველ საზოგადოებისათვის საჭიროა ქალების სკოლაც, სამეურნეო სასწავლებელიც, პროგიმნაზიებიცა და სხვანიც, მაგრამ, ჩვენის აზრით, მოხსენებულ სკოლების შენახვა ორმოცი ათასი მანეთით ყოვლად შეუძლებელია. ორმოცი ათასი მანეთი არ არის საკმარისი, რომ ერთი რომელიმე დასახელებული ტიპის სკოლა ნივთიერად უზრუნველ ჰყოს. მართალია, ორმოცი ათასი მანეთი ყოველ წლიურად სკოლის არსებობისათვის დიდი შესაწევარია, მხოლოდ იმ პირობით, თუ სკოლას ამასთანავე სხვა საიმედო წყაროც ექმნება დასახული. ჩვენ კი სწორედ ამის შიში გვაქვს, რადგანაც ამგვარი საიმედო წყაროს გამოძებნა ჩვენში მეტად ძნელია, თუ სულ შეუძლებელი არ არის.

ჩვენს საზოგადოებას, თუ კი რაიმე ნივთიერი ღონის-ძიება მოეპოვება, ეს ჯერ-ჯერობით წარმართებული უნდა იქმნას იმ ორი სკოლის საკეთილ-დღეოდ, რომელთა კალთებ ქვეშ პოულობს თავშესაფარს ათასზე მეტი უმწეო და ხელმოკლე განათლების მაძიებელი ახალგაზრდობა.

ამა თუ იმ ტიპის სკოლის დაარსება, თუნდაც ორივე გუბერნიის თანხების შეერთებით, მაინც უხერხული იქნება იმიტომ, რომ, ჩვენის ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყველანი თანასწორად ვერ ისარგებლებენ ამ სკოლით, უმაღლესის რესკრიპტის ძალით-კი დასახელებული თანხა ორივე გუბერნიისათვის არის გადადებული, ორივე გუბერნიის მოზარდმა თაობამ თანასწორის უფლებით უნდა ისარგებლოს. დასასრულ, ახალი სკოლის დაარსება იმითაც უხერხულია, რომ, ჟამთა ბრუნვის გამო, შესაძლებელია ამ სკოლამ თავისი პირვანდელი ფერი და მიმართულება იცვალოს და, მაშასადამე, უმაღლესად ნაბოძებმა თანხამ თავისი უდიადესი დანიშნულება დაჰკარგოს და ჩვენს საწადელს ვეღარ მიგვახწევინოს.

ყველა ამ მოსაზრების გამო, თუმცა ჩვენი სიმპატია ახალის სკოლის დაარსებისაკენაა, მაგრამ უმაღლესად ნაბოძებ ფულის გადადება რომელიმე ტიპის სკოლის დაარსებისათვის უმაღლესის შემომწირველის სურვილის შეუსაბამოდ მიგვაჩნია. ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო მოხერხებული და დღევანდელ ჩვენ საქმეთა ვითარების შესაფერი იქნება, რომ ნაბოძები თანხა სტიპენდიებად იყვეს დანაწილებული. ხოლო ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმ აზრისა, რომ ეს სტიპენდიები დაარსებულ იქმნას განსაკუთრებით სტუდენტებისათვის ან მარტო საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთათვის. სტიპენდიების ესრედ განაწილება უსამართლობა იქმნება.

შეუძლებელი ქართველი თავად-აზნაური მოსწავლე როგორც უმაღლესს, ისე საშუალო და პირველ დაწყებით სასწავლებლებშიაც ბლომად მოიპოვება. ამიტომ, ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება შესდგეს სათანადო კომისია, რომელიც უნდა აწარმოებდეს უმაღლესად ნაბოძების ფულის სტიპენდიებად განაწილებას, ხოლო იმ პირობით კი, რომ ეს სტიპენდიები ენიშნებოდეს ყველა ხელ-მოკლე ქართველ თავად-აზნაურს მოსწავლეს სქესის განურჩევლად, როგორც უმაღლესს, ისე

საშუალო და პირველ დაწყებითს სასწავლებლებში. დაწვრილებითი გამოძიება იმ საკითხისა, თუ რამდენი სტეპენდია, სად და რომელ სასწავლებელში დაარსდეს, — ამის სამართლიანად გადაწყვეტა ზემოხსენებულ კომისიის უფლებასა და მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

ა. ყუმისთაველი

ახალი ამბავი

*** ხვალ, 22 ნოემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ახალგაზდა ნიჭიერ არტისტქალის ტასო აბაშიძისა. მობენეფისესს ორი პიესა აურჩევია და ორივე საინტერესო: „სანატრელი ცოლი“ 3 მოქმედებიანი კომედია პრაგასი და „პარიზელი კინტო“, კომ. 2 მოქმ. მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობნი ჩვენის თეატრისა. ტასო აბაშიძემ ნიჭიერის თამაშობით უკვე დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ხვალ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრება.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მრუნველს შეუჩივლია ტფილისის გუბერნატორისათვის, რომ ქალაქის გამგეობას ხშირად ვთხოვთ ხოლმე მოგვაწოდოს ესა თუ ის ცნობები და მოსაზრებანი, ამა თუ იმ ტიპის სასწავლებლის დასაარსებლად საჭირონი, მაგრამ გამგეობა ხან-და-ხან თითო წლობით აგვიანებს პასუხის მოცემის და ამით აბრკოლებს ქალაქში სასწავლებელთა დაარსების საქმესაო. ამიტომაც ბ-ნი მზრუნველი სთხოვს ბატონს გუბერნატორს აიძულოს გამგეობა წარმოუდგინოს მას, მზრუნველს, პასუხი შემდეგ კითხვებზე: ა) პროგიმნაზიის დაარსების ნაცვლად, რასაც გამგეობა თხოულობდა, სამრეწველო ტიპის სკოლის დაარსებაზე, რაც განზრახული აქვს სამინისტროს; ბ) დაბალ ტეხნიკურ და სახელოსნო სკოლების დაარსების შესახებ; გ) მიხეილის სახელოსნო სკოლის გადაკეთების შესახებ, და დ) რვა ანუ შვიდ კლასიან საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გამოფენის მომავალს 1902 წელში გადატანა განიზრახა. საზოგადოებას პავილიონის ასაგებად რომ ახალი ხარჯი არ მოუვიდეს, ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ წლევანდელი პავილიონები საგაისოდ დასტოვონ, ხოლო, რადგანაც უმთავრეს პავილიონის სახურავი ერთის ბაქოელ ვაჭრისაგან დროებით ჰქონიათ ნაქირავები, ამ დღეებში დაიბარეს აღნიშნულ ვაჭრის წარმომადგენელი მოსალაპარაკებლად, რომ მომავალ წლამდე უმთავრეს პავილიონის სახურავი ქირით დასტოვოს.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელიარიამ ამ დღეებში შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა შეუძლებლად დაინახა ნება დართოს საზოგადოებას კავკასიის გამოფენასთან კავკასიის ბეჭდვითის სიტყვის წარმომადგენელთა კრება გამართოს, რადგანაც ასეთი კრებები გამოფენის გამმართველთა მოქმედების სფერას არ ეკუთვნისო.

*** ჩვენებურის ნავთის წარმოებისა და ნავთის საქმის ადგილობრივ გასაცნობად იაპონიის მთავრობის მიერ გამოგზავნილი მეცნიერ-გეოლოგოსი ბ. ს. ოტცუკი ამ დღეებში ტფილისიდგან ბათუმში დაბრუნდა.

*** რადგანაც ღვინის წარმოებას ბევრი დაბრკოლება ელობება წინ ბაზრის უქონლობით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აღუძრავს კითხვა, რა ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული, რომ ეკკლესიებში წმინდა, ბუნებრივი ღვინო იხმარებოდეს. ამ საქმის რიგიანად გადაწყვეტა ერთის მხრით ეკკლესიებს ბუნებრივის ღვინოებით დააკმაყოფილებს, მეორეს მხრით—ბაზარი გაეხსნება ჩვენებურს ღვინოს, რომელიც აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რაც აღნიშნული არის მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მოწერილობაში კავკასიაში მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულთან; ამ რწმუნებულს, სხვათა შორის, შეჰკითხებიან, როგორი ღვინოები იხმარება წირვის დროს კავკასიაში და შეეფერება თუ არა ძათი ღირსება ეკკლესიისათვის სახმარებელ ღვინოსაო. როგორც ვიცით, ეს ღვინო უნდა იყოს ბუნებრივი, ტკბილი, მუქი შავის ფერისა და უნდა შეიცავდეს 15-დგან 18% ალკოგოლს. („კავკასი“).

*** ტფილისის პოლიცმეისტერძა მიწერილებით დაავალა პოლიციის მოხელეებს თვალ-ყური ადევნონ, რომ წარმოდგენების დროს მოსწავლე ახალგაზდობას ქანდარაზე ასვლა არ შეეძლოს.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა გუშინ-წინ მისწერა ქალაქის გამგეობას, შეგვატყობინეთ ამატუნის ადგილზედ გაყვანილი ქუჩები: ქუთაისისა, შერემეტიევისა და სხვ. ქალაქის გეგმაში შედიან თუ არაო. წინააღმდეგს შემთხვევაში რითი იხელმძღვანელა გამგეობამ, რომ ამ ქუჩებზედ შენობების აგების ნება დაჰრთო მცხოვრებთ, როდესაც კანონით ქალაქის იმ ნაწილების დასახლება შეიძლება მხოლოდ, რომლებიც საერთო გეგმაში არიან შეტანილნი.

*** ქალაქის სასწავლებელთათვის დაარსებული კომისია იხილავს პროექტს ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთებისას. საბჭოს ერთს მახლობელს სხდომას კომისია განსახილველად წარუდგენს თავის პროექტს.

*** კავკასიის გამოფენის უმთავრეს საექსპერტო კომისიას ჯილდოები მიუსაჯავს იმ გამომფენელთათვის, რომელთაც თავიანთი ექსპონატები წარმოადგინეს გამოფენის შემდეგ დარგებში: მიწად-მოქმედებისა, მიწის დასამუშავებელ და ხელსაწყობისა, მერძეველობის, მეთევზეობისა და სამხატვრო ხელოვნებისა. კომისიას დარჩა კიდევ განსახილველად ცამეტი დარგი გამოფენისა, რომელთ შესახებ უნდა გადასინჯოს მცირე კომისიების პროტოკოლები და გადასწყვიტოს ჯილდოების დანიშვნა.

*** სენატს განუმარტებია, რომ შემოკლებულ თვით-მმართველობათა ის განაჩენები, რომელთა წინააღმდეგი იქმნებიან საერობო და საქალაქო საქმეთა საკრებულონი, ისეთისავე წესით უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც იმ ქალაქთა საბჭოების განაჩენები, სადაც სრული თვით-მმართველობა არის შემოღებული.

*** საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფი მაღალ-უსამღვდელოესი ფლაბიანე 2 დეკემბერს აპირებს თავის ახალს სამწყსოში ქ. ხარკოვს წასვლას.

*** გორის მაზრის [illegible] ადგებათ: ოქონისას, [illegible] ლისას უთხოვნიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობისათვის, რომ გომსა და ქარელს შუა, რკინის გზის მე-195 ვერსტზე, დაარსდეს გზის ასაქცევი (разъѣздъ) მატარებლებისათვის.

ქალაქის საბჭო

გუშინ წინ ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ ბ-ნ შესტაკოვის თავმჯდომარეობით. სხდომის დაწყებისათანავე მოურავის მოადგილემ წაუკითხა ხმოსნებს დეპეშა, რომლითაც ქალაქის მოურავის მოადგილის მილოცვაზე მადლობას უხდის ტფილისის ქალაქის მცხოვრებთ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

შემდეგ განხილულ იქმნა რამდენიმე წვრილმანი საქმე. სხვათა შორის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ეპატიოს ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიას ძასზე დარჩენილი დაფასების გარდასახადი; ეპატიოს ილია ებიტაშვილს ძაზედ უკანონოდ შეწერილი კამეჩების ყოლისთვის დარჩენილი გარდასახადი და სხვ. შემდეგ, რადგანაც 40 ხმოსანი შეიკრიბა, შეუდგნენ ისეთ საქმეების განხილვას, რომელთათვისაც საჭირო იყო ამდენ ხმოსანთა დასწრება. მკითხველებს ეხსომებათ ბ-ნ არჯევანიძისა და კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკის შორის ატეხილი დავა გიორგის ქუჩის შესახვევის გამო. საქმე იმაშია, რომ ეს ქუჩა არჯევანიძის სახლის გვერდზედ მიდის და პირდაპირ მუხრანსკის მამულში შედის. რადგანაც ამ ქუჩის გარშემო მარტო მუხრანსკის ძამულია და ამ ქუჩით იმათ მეტი არავინ სარგებლობს, ქალაქის გამ-

ფელეტონი

თაფლო.

(მოთხრობა)

I

კარგა ხანია შებინდდა, მაგრამ მთვარე ჯერ არსად მოსჩანს. სოფელს ჩასძინებია. დღის აუტანელ სიცხისაგან გახურებული, გავარვარებული ჰაერი იმ რიგად გასძგნაფია არე-მარეს, გადაჰპარპაშებია, რომ ღამის სიგრილესაც-კი ვერ მოუტეხნია. ისეთი უმოძრაობაა, ისე დაბოტოროვებულია აქაურობა, — ხმაურობა არსიდგან ისმის; ხის ფოთლებსაც უნიავობისაგან თითქო სული შეჰხუთვიათო, ხმა გაუკმენდიათ; ისე მწარედ გულ-ამოსკვნილნი განაბულან, ნიბლია ჩიტუნებისავით, და წყნარის, ტკბილის ჩურჩულით ერთმანეთს შორის მწველს ალერსში იკლავენ ბოღმას, ტანჯულის სიყვარულისას, სანატრელ, გიჟურ ხვევნა-კოცნისას.

აი შორს, მორს ცის კიდურზე ღრუბლის კონკ-ნაფლერთებში გახლართული ამოსცურდა ღამის მნათობი, ღაღანა წითელი ბურთის მსგავსად; თანხლებულმა, ამოყოლილმა ნიავ-ქარმა ღრუბლის ფაფუკ ქსოვილებისაგან აკონილი, ნაქარგი პირ-ბადე ჩამოაცალა თუ არა, მაშინათვე ვარსკვლავებით მოჭედილი, მოკარკარებულ ცის გუმბათიდგან დედა-ძიწას ნაზი შუქი მიმოეფინა. ამ დროს სოფელი და მისი მიდამო კეკლუცი სანახავია. საყვარლად აფრქვევს მთვარე არე-მარეს თვის მკრთალ, ნაზ სხივებს. ამ სურათისაგან მოხიბლული ადამიანი გამოუთქმელს აღძაფრენასა და სიხარულს ეძლევა; მოქარგულის, მოვარაყებულის ოცნების ფიანდაზზე საიდღაც რბის უდარდელად აღტაცებულის გულის ფანცქალით.

ერთი წამი და კაე'მანი ისევ გეშლებათ ნამეტანის სიმძაფრით ადამიანთა გულიდგან აღმომხდარი კვნესისაგან. ეს კვნესა თვისაკენ გიზიდავს გრძნეულის ძალითა. გადაავლებ სოფელს თვალს, ერთის დახედვით, გგონია ამ ძილში ტკივილები მოჰშუშვია და ცოტა ხნობით მაინც შვებას ეძლევაო; მაგრამ საკმარისია ცოტა ახლოს მიხვიდე სოფელზე, დააკვირდე თვითეულის ოჯახის ჭირ-ვარამს, რომ დარწმუნდე ძილშიაც-კი მათზე მწარე ბედის გაბატონებას. განუწყვეტელი გმინვა, ოხვრა გაწამებულის ცხოვრებისა, — აი რა არის წილ-რგებული მრავალთა ტანჯულთა და ტვირთ მძიმეთა.

— კონიავ, კონი, ე შენა ხარ, შენა ჰკვნესი?!. ჯერაც არ დაგძინებია, ადამიანო?!. ნამძინარევის თვალების ფშვნეტით გამოეხუმრა ყმაწვილის ტირილისაგან გამოღვიძებული თინანი იქველ-ახლოს მეზობლად მცხოვრებ მოხუცს კონიას, რომელიც, მთვარის შუქზე ხელებ დაკრებული, თავ-ჩაკიდებული მოკრუნჩხულიყო, გაშტერებული თვალები ერთის წერტილისათვის მიეპყრო და ეტყობოდა, ნაღვლიან ფიქრებს მისცემოდა.

— ძილი რასა ჰქვიან, შენს გახარებას!.. რაღა ძილი მაგონდება მე არ სასიცოცხლოს? თვალი და უდგეს ჩემს თავს, რომ დღისი მზეც დამიბნელდა და ღაძეც განუწყვეტელ სატანჯველად გადამქცევია! არ ვიცი, როდის მოვისვენებ, ამ საძაღლ-ღორედ გამხდარ სულს როდის მიიბარებს ღმერთი, რომ ამ აუტანელ ტანჯვა-ვაებას თავი დავახწიო; ემ ბედნიერების ღირსსაც არა მხდის ი დალოცვილი და კურთხეული... ნელის კვნესით და აკანკალებულის, ცრემლ მორეულის ხრინწიალით დაამთავრა სიტყვა კონიამ. ამ ცრემლებმა თინანის გულში სიბრალულის გრძნობა ააფორიაქა; მარდად წამოხტა თინანი, ტანთ კაბა გადაიცვა და ერთის თვალის დახამხამებაზე კონიას გვერთ გაჩნდა.

— რა არის, დედაკაცო, არ გეყო მაგდენი დარდი და მწუხარება?!.. დღე მუდამ თვალებს ითხრი!.. არ გინდა ი შენს შვილივით ლამაზ შვილს ერთი კიდევ გადაჰკიდო თვალი, გულში ჩაეკონიო?!. ღმერთს რათ აწყენინებ... ვის არა ჰყოლია შორს წასული შვილი, რომ უვნებლად მოჰსვლიათ და გაუხარებიათ თავიანთი დედ-მამა?!..

— იჰ, შენ გენაცვალე, თინანი! — ერთი გულიახად ამოიოხრა კონიამ, — თაფლი და მაქარი მაგ ენაპირში! კარგი მოგეცეს, ნუგეში კარგია, მაგრამ ეს დაწყევლილი გული ისე საუბედუროდ, საცოდავად შემოძკვნესის, რომ ვიცი ჩემთვის სამხიარულო დღე აღარ გათენდება. მირჩევნია ცოცხლივ დავიმარხო, სანამ ჩემი ყურები ჩემის შვილის რაიმე უბედურებას გაიგონებდეს. უი, უი, უწინამც დღე გამქრობია და გამწყალებია!.. ამ სიტყვებზე კონიამ გულში მუშტი ჩაიკრა და ერთი სამინლად გააძაგძაგა.

— რასა ჰშვრები, ადამიანო? — თინანი კონიას ხელში მისწვდა, — დადექი ე გულის ფიცარი ნუ ჩაიგდებინე, თავს რაზე იკლავ? მოგივა ისევ შენი შვილი. მეორე დღესვე თაფლოს თავისის დანიშნულისათვის ბეღგათ მიტანილი ოქროეული თავში მიუხლია, ახლოც არ უდგება, არ ეკარებაო, ისე ჭირივით ეჯავრება თურმე დანიშნული. მამას გაიცილებს თუ არა სახლიდამა, მთელი დღე იცრემლება, ოხრავს, იტანჯება, სულ შენი შვილი პავლე აკერია პირზე, ის აგონდებაო...

— ათასი ფეხები ფშხლიკოს, შვილო, რა გამოვა! თაფლოს ეხლა ვინ რაღასა ჰკითხავს; სანამ შეიძლებოდა, თაფლოს აკატებულმა მამამ თავისი შვილის ტირილი, უარი, ხვეწნა აინუნშიაც არ ჩაიგდო, ყურები არ გაიბერტყა. სამაგიეროდ გაცეცხლდა, გაალმასდა, კბილები დაიგლიჯა, დაიყრევინა, როგორ თუ ჩემი ქალი მაგისთანებს მიბედავს, კრინტსა სძრავსო, ადგა და ძალის ძალად მიაჩეჩა თაფლო სონკას.

— რა უყოთ, რომ დანიშნა? ცოტანი არიან, დანიშნულებს თავს ანებებენ?!. ან იმ სონკას რა ჭკუაში დაუჯდება, რომ თაფლოზე ჯვარი დაიწეროს? თვალები ჯიბეში ხომ არ ულაგია, ვერა ჰხედავს თაფლოს, არ უყვარს?!. მერმე სიმწარეს, დღე მუდამ უსიამოვნებას, არ ურჩევნია უჭუჭყოთ განშორდეს?!..

— იჰ, გენაცვალე, შვილო!.. პირველად თუ ეგრე უსიამოვნება ექნებათ, მერმე თაფლო თავის ბედს დამორჩილდება, მეტი რა ჩარა ექნება...

— რას მეუბნები, კონი!.. თაფლო ისეთ უარზეა შემდგარი თურმე, ისე იღველფება, ქვეყანა იმის ცოდვისაგან იწვება. არა მგონია, თაფლომ სონკაზე ჯვარი დაიწეროს. შენს შვილს წერილი მისწერე, მიფერფლილი იმედი გაუჩაღე გულში,

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გეობას სთხოვეს, დაეთმოთ მათთვის ერთი ნაწილი ამ ქუჩისა, რათა წინ გამოეწიათ ალაყაფის კარები. ამაზე უარი უთხრა ქალაქის გამგეობამ, რის გამო საჩივარი იქმნა შეტანილი ქალაქის საბჭოში. ამა წლის აპრილს საბჭომ განიხილა ეს დადგენილება გამგეობისა და, ვიდრე გარდასწყვეტდა, განსაკუთრებული კომისია ამოარჩია ამ საქმის დაწვრილებით განსახილველად. კომისიას განუხილავს მთელი მასალა და დასთანხმებია კიდეც გამგეობის გარდაწყვეტილებას. საბჭომაც ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის გარდაწყვეტილება.

ამ ორის კვირის წინად საბჭომ პრინციპიალურად გარდასწყვიტა ცეცხლის მაქრობელ რაზმისათვის მოსათავსებელ სადგომის აგება, ხოლო როგორ მოახერხოს საჭირო ფულის შოვნა, ამისთვის ამორჩეულ იქმნა კონისია. კომისიას ქალაქის გამგეობასთან ერთად, განუხილავს რა ეს საქმე, გამოუთქვამს, რომ რადგანაც ერთი ნაწილი ამ შენობისა, სახელდობრ—ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომი, უფრო საჭიროა, აღებულ იქმნეს ამ სახლის დაგირავებით 50000 მ., ხოლო დანარჩენი 90,000 მან. შენობის მეორე ნაწილის ასაგებად შემდეგ აიღოს ვალად, როცა უკეთესი შემთხვევა მიეცემა. კარგა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ გარდასწყვიტა: 1) აღნიშნულ შენობის პროექტის ნაწილ-ნაწილად შესრულება მიღებულ იქმნას იმნაირად, რომ მომავალ 1902 წლის გაზაფხულისთვის ივალონ სახლის დაგირავებით შენობის საჭირო ნაწილის ასაგებად ფული და შეუდგნენ შენებას, ხოლო მეორე ნაწილის ასაგები ფული—90,000 მან. აიღონ 1903 წელს; 2) დაგირავებულ იქმნას განზრახული სახლი ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში 168,000 მან. და აქედგან ამ თავით აღებულ იქმნას 70,000 მ., რომ მომავალ წლის გაზაფხულიდგან უკვე შეუდგნენ შენობის ერთის ნაწილის აგებას; და 3) ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად იკისრებს ამ საქმის განხორციელებას.

შემდეგ ხმ. კ. მ. ალიხანოვის თავმჯდომარეობით საბჭო შეუდგა განხილვას ქალაქის გამგეობის 1899 წლის მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენებას. ერთი-ორი მუხლის განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საბჭოში საკმაო რიცხვი ხმოსანთა აღარ იყო, რის გამოც სხდომა შესწყდა და დაიხურა ღამის $10^1/_2$ საათზედ.

სასოფლო მეურნეობა.

—

თაფლი და მისი სამკურნალო თვისებანი

(დასასრული *)

ადამიანის სხეულში თაფლი ჰრგებს ლორწოიანს გარსს (слизистая оболочка) შინაგან ორგანოებისას, სხეულს გარე-კი ის არბილებს და აცხოვლებს კანს.

სისხლის ნაკლულევანებისა და გვინით (блѣдная немочь) სნეულებს თაფლით შეზავებულ რკინის აბებით უკეთ არჩენენ, ვიდრე შაქრითა ან სხვა რითიმე შეზავებულ აბებით. ეჭვი არ არის, აბებში შერეულ თაფლს გარდა, რომ კიდევ უფრო მეტს ულუფა თაფლს აქმევდნენ ზემოთ მოხსენებულ ორგვარ ავადმყოფობით სნეულებს, ბევრად უკეთესი იქნებოდა მათთვის.

კერძოდ თაფლი ძლიერ მარგებელია ისეთის გულის ტკივილისათვის, რომელსაც ახლავს ხველება, შეხუთული სულის თქმა და მასთანვე ნახველის ამოტანაც უჭირდება; ჰრგებს აგრეთვე მოშლილ კუჭს და წელებს, ბუასილს, საყმაწვილოს (золотуха) გამონაყარს, იპოხანდრიას, უძილობას და კანის სნეულებათ.

რა-კი თაფლი ერთობ ჰრგებს და ხელს უწყობს სისხლის ბრუნვას, ამიტომაც დიდად სასარგებლოა ბავშვები ვკვებოთ მითი თაფლით გაზრდილი ბავშები ჯანმრთელნიც გამოდიან და უფროც არ ხდებიან ავად სხვა-და-სხვა გადამდები სენით.

სამწუხაროდ, ზოგგან გავრცელებულია შემცდარი აზრი, ვითომც თაფლი საყმაწვილოს უჩენდეს ბავშებს. არა თუ უჩენს, პირიქით თაფლი არჩენს კიდეც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, საყმაწვილოს, რადგანაც იგი სპობს უნოყიერობას სხეულისას (худосочіе) და აუმჯობესებს სისხლს. ამიტომაც დედები კარგს ინებებენ, თუ შაქრის, კანფეტების, შაქრით გაკეთებულ მურაბების და ხშირად არ-ახალი კარაქის მაგიერ თაფლს მიაწოდებენ თავიანთ შვილებს—ან წმინდა თაფლად, ან თაფლით გაკეთებულ ტკბილეულობის ან სხვა საჭმლის სახით. ეს უფრო იაფადაც დაუჯდებათ და დიდად მარგებელიც იქნება.

ჯანმრთელ ადამიანისათვის საკმაო იქნება დღეში სამჯერ იგემოს თითო სტოლის კოვზი თაფლი—დილით, სადილად და ვახშამს შემდეგ. ნავახშმევს თაფლის მიღება სჯობს დაძინების ცოტა ხნით წინად. ჭამის შემდეგ თაფლის მიღება ხელს უწყობს ჭმულის მონელებას. ავადმყოფმა-კი ნაკლებ ულუფობით უნდა ჭამოს თაფლი, მაგ. ნახევარ ჩაის კოვზით, ოღონდ უფრო მალ-მალე, ასე თითო ან ორ-ორ საათს შემდეგ და ისიც ნადუღარ და გაცივებულ წყალის დაყოლებით.

ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თაფლი მხოლოდ მაშინ არის მარგებელი, როცა წმინდაა და შეურეველი. ვისაც საყიდლად აქვს თაფლი, სჯობს იყიდოს ფიტებით (соты) და ისიც მაშინ, თუ ფიტი თეთრია და გამჭვირვალე. შავი ფიტა-კი იმიტომ არის უვარგისი, რომ მისს ნაჩვრეტებში ფუტკარს ბევრჯელ ეყოლება გამოყვანილი ბუსუსები, შიგ ჩარჩენილი იქნება მათი გარსის ნაშთები და ამ ნაშთებს ქვეშ-კი დურდო. ფიტის თაფლს, თვით საუკეთესოსაც, ის ნაკლი აქვს, რომ გამოწუწვნის დროს ადამიანს ფიტის ნამცეცებიც ჩაჰყვება ხოლმე და ეს კი მაწყინარი არის ჯანმრთელობისათვის. გადამდნარი და შეურეველი თაფლიც არ არის ყოველთვის საკმაო წმინდა: სოფლელნი მეფუტკრეები უმრავლესს შემთხვევაში ისე უყურადღებოთ გადაადნობენ ხოლმე ფიტებს, რომ ხშირად ჩაჰყვებათ შიგ ფიტის ნამცეცები და სხვ., რის გამო თაფლს მწკლარტე გემო ეძლევა. ბევრად სჯობია განსაკუთრებული მანქანით (медогонка) დაწმენდილი თაფლი, როგორც შემოღებულია გაუმჯობესებულ სისტემის მიმდევარ მეფუტკრეებისაგან. ზოგი მათგანი მანქანით დაწმენდილს თაფლს წმინდა მერდინში გაატარებს ხოლმე და რამდენიმე ხნით დადგამს, რათა ზევით ამოტივტივდეს თუ, ვინიცობაა, ისეთი რამ ჩაჰყვა შიგ, მაგ., ფიტის ნამცეცები. ამის შემდეგ მოხდიან თავზე მოყენებულს პრკეს და მხოლოდ მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი თაფლი იდეალურს სიწმინდეს უახლოვდება.

აი ასეთი თაფლია სამკურნალოდ წამლად გამოსადეგი.

მ.

* იხ. „ივერია № 252.

რუსეთი

—

— უწმ. სინოდს განუმარტავს, რომ ებრაელთა და მაჰმადიანთა სარწმუნოებისათ უფლება არა აქვთ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში გასათავებელ ეგზამენის დაჭერისა სამხედრო სამხახურში რაიმე შეღავათის მისაღებად, თუნდაც საგანგებოდ კარგად შეესრულებინოთ სწავლაო.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ბეითალებს სწავლის დამთავრების შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტზედ შესვლის ნება მისცეს, მაგრამ იმ პირობით, თუ ლათინურ ენიდგან დამატებითს ეგზამენს დაიჭერენ.

— საერო განათლების სამინისტროში მალე განიხილვენ იმ საგანს, თუ სასოფლო სკოლებში წიგნების გასყიდვის საქმე როგორ უნდა მოეწყოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს რაბბინთა არჩევნების წესის შესახებ ახალი პროექტი შეუდგენია.

— ახლად შემუშავებულის წესებით, სამხედრო-სასჯელო აკადემიაში პირველი ხარისხით სწავლა დამთავრებულს აფიცრებს ერთის წლით ოლქის სამხედრო სამოსამართლო დაწესებულებებში თურმე დაავალებენ მუშაობასა, რომ აქ საქმე ზედმიწევნით გაიცნონ; ხოლო მეორე ხარისხით სწავლა დამთავრებულთ პირდაპირ თავისს სამსახურის ადგილას გაჰგზავნიან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭოს ყველა სამკურნალო ფაკულტეტებისა და კბილის სამკურნალო სასწავლებ-

---

ოლმას ნუ შეეჭმევინება ბუგრი-
ით...

— პავლეს გზა-კვალს ვიხლა გაი-
ებს, შვილო!.. ეს რამდენი ხანია
ასულია და არა გამიგია-რა, საით
რის და რომელ კუთხეში. ის ისე-
ი გულ-ნატკენი, გაბოროტებული
ავიდა, ისე ამოირეცხა აქაურობა-
ე გული, აღარა მგონია, იმან თა-
ის დღეში აქეთკენ პირი იბრუნოს.
რ შეისმინა დედის ვედრება, წუ-
ილი, მწარედ ნადენი ცრემლები,
რც ტკბილი ძუძუს ამაგი, შრო-
ით ინგალ გამოცლილი თვალები.
მე ცოცხალის თავით არ შემი-
ლიან ახლო ვიყო, თაფლო სხვის
ვერდით დავინახო, იმათი ერთად
ოპარაკი, ალერსი გავიგოო. ვიცი,
ემომაკვდება მაგისი ქმარიო. ისე-
ა სჯობია წავიდე, გადავიკარგო
ითმე. მემკვლელება, დედი, შენი
ორტოდ, უპატრონოდ დატოვება...
გრამ, რა ვქნა, თაფლოს სხვის
ულში დანახვას უფრო ვერ გაუ-
ლებო“... შვილის ცრემლების მო-
ონებაზე, კონიასაც აუჩუყდა გუ-
ი, ცრემლები გადმოჰყარა...

— როდესაც შენის წერილიდგან
ეიტყობს, რომ იმისი თაფლო ისევ
ასთვის თავს იკლავს, მასზე ფიქ-
ობს, იმედი გაეღვიძება და მალე
ეგვიკრავს აქ თავს,—გულის მო-
ლობობად შეაპარა ნაღველ-მორე-
ო კონიას თინანმ, ტკბილად,
ერსიანად.

— ნეტავი შენის დღეგრძელობით, შვილო თინანი, ჩემის შვილისათვის ერთი თვალი კიდევ გადამავლებინა და თუნდ იმ წამს სული ამომქრობოდა. ამ ძალლ-უმადლობა შიმშილს აინუნშიაც არ ჩავიგდებდი. ეს ორი დღეა ჩემს პირში ნაწილის სული არ დატრიალებულა. ამაზე უარესს ცეცხლგენიასაც ავიტანდი, ოღონდ ჩემი პავლეს წკრიალა ხმა კიდევ გაძაგონა, იმისი თავი დამანახვა, გულში ჩამაკონა... კონიას თვალებზე ცრემლები მოადგა, გადმოედინა, აქვითინდა და თინანიც ააქვითინა.

კონიას წინედაც ბევრი ცრემლი უღვრია თავის ერთად-ერთ იმედ პავლეზე, მაგრამ ამისთანა სახმილი ამის გულს არასოდეს არ მოსდებია. მართალია, სანამ დავაჟკაცდებოდა და საკენჭედ მოიყრებოდა პავლე, იმ დროსდისაც ბევრი უკანკალნია თავის შვილ თვალისჩინზე.

საკმარისი იყო ერთი რამ უბრალოდ თითი წამოსტკივნოდა პავლეს, რომ კონია თვით ჩავარდნილიყო ლოგინად. გაუვლიდა შვილს უქეიფობა და კონიაც აიმზევნებდა ლოგინს. მაშინაც დიდი მწუხარება გამოიარა კონიამ, შვილი რომ „სალდათათ“ გაუგზავნეს.

კონიას პირველა ვაჟიშვილი სოლიკო ამ ექვსი-შვიდი წლის წინეთ საქართველოს შორეულ კუთხეში გადასხვავდა (ასე იტყოდა ხოლმე სოლიკოზე გულ ნატკენი კონია, როდესაც ჰკითხავდნენ მასზე), იქ დაკოლშვილიანდა, ასე რომ კონიას სოლიკოსი მას აქეთ ხმა-ჩქამი აღარ გაუგია. მაშასადამე, საქმით პავლე იყო ეხლა პირველა ვაჟიშვილი, თუმცა კამელარიულ აღწერით კონიას შემნახველ-დამმარხველად სოლიკო იყო მიჩნეული.

როდესაც პავლე გაატიტვლეს, სამხედრო საკრებულოს წევრების თვალ წინ გასაზომად, ყველანი სახტად დარჩნენ, უნებლიეთ ყველანი მისკენ მიბრუნდნენ. პავლეს ახოვანებამ, ტანის მოყვანილობამ ყველანი გააოცა. გაუზომავადაც პავლეს ბედი გადაწყვეტილი იყო. როგორც კი ამოდენა მოზღვავებულ, მღელვარე, მშფოთავ ხალხში ზარივით გავარდა და ელვის სისწრაფით კონიას ყურთამდისაც მიაღწია იმ ხმამ, რომ პავლე ქედა-შვილს კენჭი შეეხვდაო, კონიას თვალთ დაუბნელდა. დაუძახეს, წყალი, წყალიო!..

გულ შეწუხებული კონია სოფლებიდგან მოსულმა ხალხმა მოასულიერა წყლით. ერთიც პავლეს დანახვაზე წაუვიდა გული კონიას, მაგრამ გულ-გაპარებული კონია შვილმა გონს მოიყვანა. „დედი, ნუ გეშინიან... თავს რაზე იკლავ; უჩემოდ ოთხ წელს როგორ ვერ გასძლებ, მალი-მალ მოგწერ წერილს,—ნუ დაგენაღვლება. სოფელი ღონიერია, მშიერს არ მოგკლავენ.

პავლესა და ამ სოფლის დანარჩენ კენჭ-ნარგებ ჯეილების ჯარის-კაცებად, „სალდათებად“ წასაყვანად დაქირავებული ფურგუნი შუაგულ სოფელში გაჩერებულიყო და ამ სოფლის დიდსა და პატარას, ყველას აქ მოეყარა თავი. ზოგნი თუ კენჭ ნარგებ ყმაწვილ კაცების ნათესავ, ნაცნობ, მეზობლები იყვნენ, მომეტებული ნაწილი ცნობის მოყვარე მაყურებელთაგანნი შეკრებილიყვნენ. აქეთ-იქით წყნარი ქვითინის ხმა ისმის, მაგრამ თვით კენჭ ნარგებნი თავს იმაგრებენ, შახს არ იტეხენ, ყოჩაღად გამოიყურებიან, რა არის,—არ დაგვცინონ, ლაჩრებად არ ჩაგვთვალონო. აი, სანამ ყველანი შეიკრიბებოდნენ, გააჩაღეს ცეკვა, სიმღერა, ჩონგური. ბევრს ოჯახი შვილთაგანს დოქებით ღვინოც მოეტანათ და მშვიდობის გზას ულოცავდნენ წამსვლელთ. ყველანი შეიკრიბნენ, წასვლის დრომ მოატანა, დაფაცურდნენ. დარდისაგან გაშმაგებული კონია ეს მეათედ ემშვიდობება შვილს.

— მოიცათ, ერთი კიდევ შევხედო ჩემს სანატრელს, ჩემს თვალის ჩინს,—ბუტბუტებდა კონია.

— ადექ, ადამიანო, გეყოფა ამდენი გულის გაწყალება, წუხილი. ნუ გეშინიან, პავლე ისევ მალე მოგივა. ისე გაივლის ეს ოთხი წელიწადი, ვერც კი გაიგო...

გველეშაპივით პავლე კონიამ ისე ჩაპღუჯა, ჩაიკონა გულში, განძრევის სახსარი აღარა ჰქონდა პავლეს. ამ გამოთხოვებასა და ალერსში იყვნენ დედა-შვილნი, რომ პავლემ დედის უკან მდგომ ამ სოფლელსავე ნაცნობ თაფლოს მოჰკრა თვალი.

თაფლო პირდაპირ პავლეს გაშტერებით მისჩერებოდა თვალებ ცრემლ-მორეული. პავლეს სასიამოვნოდ აუტოკდა გული, ფანცქალი დაუწყო, გაუსხლტა უცბად დედას ხელიდგან, მიირბინა თაფლოსთან და ხელი ჩამოართვა. „მშვიდობით თაფლო, არ დამივიწყო!“—წასჩურჩულა ყურში და მერე ისევ დედას მიუბრუნდა: „კიდევ „მშვიდობით დედი, წერილს მალე მოგწერო“,—და ამ სიტყვებით ფურგუნზე აფრინდა.

დაიძრა ფურგუნი, ამოძრავდა იქაურობაც, თითქოს მთელი სოფელი თან დაედევნაო, მაგრამ ფეხით სადამდის მიჰყვებოდნენ. კონიაც შუა გზაზე, მუხლ-მოკრილი, მეზობლებმა ძლივს მიიყვანეს სახლამდის.

ე. მ—შვილი.

(შემდეგი იქნება).

ლებისათვის წინადადება წარუდგენია, რომ თავისი აზრი გამოსთქვან —რაᲜდენად სასურველია, წესდება კბილის სამკურნალო სასწავლებლებისა შეცვლილი და დამატებული იქმნეს. განზრახვა აქვთ 2½ წლის მაგივრად ამიერიდგან 4 წლის კურსიანი კბილის სამკურნალო ინსტიტუტები დააარსონ.

— ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული—უმაღლესი საკომერციო სასწავლებელი დააარსონ იმ ტიპისა, როგორც დანციგის საკომერციო აკადემიაა.

— განზრახვა აქვთ რკინის გზის სადგურებსა და ნახევარ სადგურებზედ და აგრეთვე გზის ასაქცევებზედ (разъѣздъ) მმოძრავი აფთიაქები გაიჩინონ და თავდაპირველის სამკურნალო დახმარებისათვის უფასო კურსები დააარსონ.

— სამხედრო სამკურნალო უწყებას საბეითალო ნაწილის გამგეობას უთუოდ მალე ჩამოართმევენ.

უცხოეთი

ინგლისი. მთელ ევროპასთან ერთად ინგლისის ოპოზიციის წევრნიც ჰკიცხავენ მთავრობასა და მეომართ იმ სისასტიკისა და მტარვალობის გამო, რომლის მსხვერპლებადაც უმწეო ბავშვნი და დედაკაცნი შეიქმნენ. მრავალ გზით დამტკიცდა, რომ მეომარნი ინგლისელნი მართლაც უწყალოდ და შეუბრალებლად ექცევიან ბურთა დედაკაცებსა და ბავშვებს: ამწყვდევენ მათ ბაკებში, საკვებს ნაკლებად აძლევენ, სიცივეში ამყოფენ და სხვა. ინგლისელ მეომართა და სამინისტროს ამ ცუდ მხარეს დღეს აღარც ოპოზიცია აფარებს ხელს. ოპოზიციის მეთაურმა ბანერმანმა ამას წინად ბატში სიტყვა წარმოსთქვა და საშინლად გაჰკიცხა სამინისტრო. გასაკიცხია მეომართა საქციელი სამხრეთ აფრიკაში, სთქვა ბანერმანმა, მაგრამ უფრო გასაკიცხი და სამარცხვინოა სამინისტროს ფარისევლობა. იგი აჟლეტინებს ხალხს და ამავე დროს სჯა-ბაასი აქვს იმ თვით-მმართველობაზედ, რომელიც ვითომდა ბურებს უნდა მიანიჭოს ომის შემდეგ. ნუთუ ჰგონიათ და იმედი აქვთ, რომ ის ხალხი, რომელიც ჰხედავდა, როგორ ანადგურებდნენ იმის ფერმებს, მიწასთან ასწორებდნენ იმის კერას, აწვალებდნენ დედაკაცებსა და ბავშვებს, ნუ თუ ჰგონიათ, რომ ყველა ამის მნახველნი ოდესმე მორჩილ, ერთგულ და კმაყოფილ მოქალაქეებად გადაიქცევიანო?—სთქვა ლიბერალმა და ოპოზიციის მეთაურმა ბანერმანმა.

— სულ სხვა რიგად და სხვა გვარად ჰფიქრობენ, უკეთ რომ ვთქვათ —ლაპარაკობენ სამინისტროს წევრნი. სად, როდის მოხდა ჟლეტა-ხოცვა, დედაკაცების წვალება და ბავშვია ტანჯვაო, გაიძახიან ეს ვაჟბატონნი. სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა კარლტონის კლუბში ისიც-კი განაცხადა, რომ არც ერთ ომში ისე ჰუმნიურად არ ექცეოდნენ დამარცხებულთ, როგორც ჩვენ ვექცევით ბურებსაო. უმთავრესი მიზეზი ომის გაჭიანურებისა, ამ მინისტრის აზრით, ის არის, რომ ინგლისელნი მეტად რბილად და მამაშვილურად ექცევიან ინსურგენტებს...

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის საქმეები, რაც დრო და ხანი გადის, უფრო და უფრო იწეწება. დღეს ავსტრიაში ყველანი კარგად ჰგრძნობენ საქმის უნუგეშო მდგომარეობას, მაგრამ წამალი ვერ გამოუძებნიათ და საქმე საკეთილოდ ვერ მოუგვარებიათ. ნემეცთა საოპოზიციო დასების მეთაურებს რამდენჯერმე ლაპარაკი და თათბირი ჰქონდათ ამის თაიბაზედ. მათ შეიმუშავეს კიდეც profession de foi, რომლის მთავარი მუხლიც თხოულობს ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებასა და უნგრეთთან ხელშეკრულების დადებას. ამ საქმის განსახორციელებლად ნემეცთა დასების შეთანხმებასა და დროებით იმ საქმეების უკუ გდებას, რომელთაც ეროვნული ხასიათი აქვს. ვინც-კი პარლანტის ცხოვრებას ჩაჰკვირვებია, ადვილად მიჰხვდება, რომ ჩეხნი ამ წინადადებას არასოდეს არ დასთანხმდებიან. ჩეხები იმ თავითვე ობსტრუქციას ადგიან, სცდილობენ—პარლამენტი გაჭირვებაში ჩააგდონ, საქმეთა წესიერი მსვლელობა შეაჩერონ, რომ ამ გვარის ხერხით თავიანთი სამართლიანი მოთხოვნილებანი აღასრულებინონ ნემცებს. და აი ეხლა ნემცები გამოსულან და ეუბნებიან, საქმე გაჭირვებულია, პარლამენტი ვეღარ მოქმედებს და ამიტომ უკუ ვაგდოთ კერძო საქმეებიო. ეჭვი არ არის, ჩეხებისაგან ერთად-ერთ პასუხს მიიღებენ ნემეცები: ჯერ ჩვენი მოთხოვნილებანი აგვისრულეთ, მოგვანიჭეთ ენის თავისუფლება, თანასწორი უფლებანი მოგვეცით და მაშინ ბატონი ბრძანდებითო...

— როგორც ვენიდგან იუწყებიან, იმპერატორ ფრანც-იოსებს დიდი საყვედური გამოუცხადებია ჩეხ-დეპუტატ ჰეროლდისათვის ჩეხთა პარლამენტში მოქმედებისა გამო. იმედი მქონდა, უთქვამს მოხუცს იმპერატორს, მას შემდეგ, რაც პრაგაში (ჩეხიის სატახტო ქალაქია) ვიყავი, ჩეხნი უფრო ნდობით მოექცეოდნენ მთავრობის დაწყობილებებს, პრაგაში მოსვლით დაგიმტკიცეთ ჩემი სიყვარელი, ამიტომ ჩეხნი მადლობელნი უნდა იყვნენ. მაგრამ მადლობის ნაცვლად თქვენ საქმეს აფერხებთ, პარლამენტის მოქმედებას ხელს უშლით და სახელმწიფოს გაჭირვებაში აგდებთო..

კარგია, თქვენმა მზემ: პრაგაში მოვედი, ჩემი თავი დაგანახვეთ და ამას დასჯერდითო...

სამაგიეროდ იმპერატორს დიდი მადლობა გამოუცხადებია პოლონელთა კლუბის მეთაურის იავორსკისათვის პოლონელთა დასის პოლიტიკის გამო პარლამენტში.

შეერთებული შტატები. ამ ბოლოს დროს შეერთებულ შტატების რესპუბლიკამ ძალიან გააუმჯობესა ᲗᲔ გაადიდა თავისი სამხედრო ფლოტი. ეს რესპუბლიკა ბევრით აღარც-კი ჩამოუვარდება თურმე ინგლისს. 1880 წ. ზღვაზედ ძლიერ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია. დრონი იცვალნენ. როდესაც ის გემები დამზადდება, რომელიც სახელმწიფოებმა შეუკვეთეს, პირველი ადგილი ზღვაზედ ისევ ინგლისს ეჭირება, მეორე შტატებს, შემდეგ რუსეთს, საფრანგეთსა და გერმანიას. იტალიამ თითქმის დაჰკარგა კიდეც დიდის სახელმწიფოს სახელი და იმის ადგილს ახლო მომავალში იაპონია დაიჭარეს, რომელმაც ახალი პროგრამა შეიმუშავა ფლოტის გადადებისა.

კოლუმბია. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, სამხრეთ-ამერიკის პატარა სახელმწიფოში, კოლუმბიაში, ამ ჟამად ცხარე რევოლიუციაა. გაზეთების სიტყვით, ამ რამდენისამე დღის წინად ლიბერალთა დასის ჯარს დაუმარცხებია მთავრობის ჯარი. ლიბერალები მოულოდნელად თავს დასცემიან ქალაქ კოლანს და ხელთ ჩაუგდიათ იგი. მთავრობა სრულად არ ყოფილა თურმე მომზადებული. ნახევარი საათის შემდეგ ლიბერალებს დაუჭერიათ საადმინისტრაციო დაწესებულებანი. შეტაკების დროს თორმეტ კაცამდე მომკვდარა და 30-მდე დაჭრილა. ქალაქის თავი სადღაც დამალულა, პრეფექტი და პოლიციის უფროსი ტყვედ ჩაუგდიათ ლიბერალებს. გენერალი პატინო, ლიბერალების წინამძღოლი, ომის დაწყებისასვე მოუკლავთ; იმის მაგიერ, ჯარს პოლკოვნიკი ბარესი წინამძღოლობდა თურმე.

შეცდომის გაწორება.

გუშინდელ ნარკვევის მე-10 სტრიქონში კავშირი „და“ კორექტურული შეცდომით არის მეტად ნახმარები.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

19 ნოემბერი.

პეტერბურგი. 19 ნოემბერს პეტერპურგში დაბრუნდა დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე უავგუსტოეს მეუღლითა და ასულითურთ.

სევასტოპოლი. 18 ნოემბერს იდღესასწაულეს მე-48 წლის თავი სინოპის ბრძოლისა.

ჩიტა. ბაიკალის ადიდებისა გამო რუსეთიდგან ფოსტა ყოველ დღე არ მოდის. ამ წინაზედ ხარბინთან დაზარალებულმა მატარებელმა იმსხვერპლა 18 ჩინელი და 7 რუსი, რომელთაგანაც ორი გაყინული აღმოჩნდა.

ლონდონი. გაზეთს „Standard“-ს ატყობინებენ ტიანძინიდგან, რომ 18 ნოემბერს გამოცემული საიმპერატორო ბრძანებით ტახტის მემკვიდრეს პუჩუნს, რომელიც თავისს ცუდი ყოფა-ქცევით იმპერატრიცას მხრივ დიდს უკმაყოფილებას იწვევდა, თავისი უფლებები ჩამორთმეული აქვსო. ამბობენ, ჯუნლუ ყოველგვარს ღონისძიებასა ხმარობს, რომ საიმპერატორო სასლობა პეკინში არ დაბრუნდესო. ამბობენ აგრეთვე იმას, რომ პუჩუნისათვის მემკვიდრეობა ჩამოურთმევიათ და ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ პუჩუნი ტუანის შვილია, რომელიც წარსულის წლის არეულობაში დიდს მონაწილეობას იღებდა. იმპერატორის ბრძანებით პუჩუნს გერცოგობა, ებოძა და ებოძა და ებრძანა დაუყოვნებლივ სასახლე დასტოვოს. იმპერატორის მზრუნველად მყოფი ჩანტეჯი ლონდონსა, რომსა და ბრიუსელში იქმნა ელჩად დანიშნული.

ბერლინი. საბაჟო ტარიფის შესახებ ბიულოვის მიერ დინჯად, ზომიერად და მოფიქრებულად შედგენილი სიტყვა კონსერვატორთა, ცენტრისა და ნაციონალ-ლიბერალების საპარლამენტო წრეებში დიდის კმაყოფილებით იქმნა მიღებული; ოპოზიცია იმან შეიმაგრა, რომ რომ ხელთშეკრულობით დადებულ ტარიფების პოლიტიკის შესახებ კანცლერმა გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი.

ტამბოვი. კოვერდუკოვების მკვლელები აღმოაჩინეს. ორი სტუდენკელი გლეხია, ერთიც ციგანი.

ბერლინი. როგორც კერძო ცნობები იუწყებიან, გალიციაში პრუსიის წინააღმდეგ მოძრაობა თურმე მატულობს. მიზეზი მოძრაობისა ის გახდა, რომ პოზნაში, ვერშენს, საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევისა გამო, რომელიც პოლონელ ბავშვების დამტუქვსველ მასწავლებლების მიმართ მუქარით გამოიხატა—ნუ ჰლახავთ პოლონელს ბავშვებს, როდესაც ნემეცურად ლაპარაკზედ უარს ამბობენო, ზოგიერთს სასჯელი გარდაუწყვიტეს,

20 ნოემბერი.

პეტერბურგი. გაქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რუსეთსა და შვეიცარიაში საგაჭრო და საფაბრიკო დამღები ურთიერთთ შორის დაცულ იქმნეს. გამოქვეყნებულია წესები იმის შესახებ რომ 1897 წლ. 12 მაისის კანონისა თანახმად, პირველ დასაწყისს სასოფლო სკოლებს ხაზინიდგან უფასოდ ნაჭერი მიწისა და სახაზინო ტყიდგან შეშა დაეთმოს ხოლმე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სხვილმა მეგემეებმა გარდასწყვიტეს, რომ ასტრახანიდგან ნოვგოროდამდე ფუთი ნავთის მიტანა 1902 წელს 5¾ ნაკლებ არ იკისრონ, სულ გაიტანენ აქედგან ნავთს: ნობელისას—90.000,000 ფუთს, „Мазутъ“-ის საზოგადოებისას — 30.000,000, აღმოსავლეთის საზოგადოებისას 30.000,000 ტერ-აკოფოვისას 5.000,000 და რიაზანის რკინის გზისას 18.000,000 ფუთს.

გმუნდენი. იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული შუადღისას დაბრუნდა ვენით რუსეთს.

ბერლინი. სოციალ-დემოკრატმა მოლკენბურგმა განაცხადა რეიხსტაგში, რომ მას, რასაც კონსერვატორები სოფლის მეურნეობის დაცვას უწოდებენ, სოციალ-დემოკრატები ხალხის გაძარცვადა სთვლიან; დღევანდელი პოლიტიკა მუშების გაძარცვითა თავდებაო მუდამ.

ბაქო. საბუნჩის მე-15 ნაწილში 18 ნოემბერს საზოგადოების „Кавказъ“-ის ნავთმა ამოხეთქა. ნავთი დღე-ღამე ამოდიოდა და შემდეგ უცბად შესწყდა, რადგანაც ჭაში რალაც გაჭხირა. ბაქოს ნავთის საზოგადოების შადრევანი დღეში 400,000 ფუთს ნავთს იძლევა.

ბერლინი. რეიხსტაგი. კანცლერმა განაცხადა, რომ თავდაპირველად საბაჟო ტარიფის კანონ პროექტს აზრადა აქვს სოფლის მეურნეობას გაუწიოს კანონიერი მფარველობა, აგრეთვე თავიდგან აიცილოს ის დაბრკოლებანი, რომლებიც მრეწველობის განვითარებას დღეს ხელს უშლიდნენ. დასასრულ კანონპროექტს აზრადა აქვს სავაჭრო ხელთშეკრულობათათვის საუკეთესო იარაღი მოგვცეს ხელთ. ამ რიგად კანონპროექტი სტატისტიკურ შეკრულებათა [illegible] ლიად გვერდს არ უხვევს. მოკავშირე სახელმწიფოთაც მტკიცე განზრახვა აქვთ გარეთ გასატან მრეწველობის სარგებლობისავე გულისათვის შემდეგშიაც ამ პოლიტიკას არ უთალატონ. ორატორი და ბოლოს მოიწვევს რეიხსტაგს „პროექტს გონივრულად მოეპყრნენ, ეროვნულ თავკერძოობით განიხილონ და არ დაივიწყონ, რომ მხოლოდ შეერთებულთა და მაშინ შეუძლიანთ სხვა ხალხების წინააღმდეგ წასვლა, როდესაც ყველა საზოგადო ᲗᲔ საერო სიკეთის აზრით იქმნებიან გამსჭვალულნი“ (დიდი მოწონება ისმის). ფინანსთა მინისტრმა პროექტის ტეხნიკურნ მხარე გააცნო. მთავრობა დარწმუნებულია, რომ, პურის გარდასახადების მომატებისა მიუხედავად, რუსეთან და სხვა სახელმწიფოსთან ხელთშეკრულება დადებული იქმნება.

ბერლინი. პური გადასახადების მომატებისა გამო რეიხსტაგს თხოვნა მიართვეს, რომელზედაც 3½ მილიონს უწერია ხელი.

განცხადებანი

ფოთის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ორშაბათს, 27 ნოემბერს 1901 წ., შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, ქალაქს ფოთში **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა 1902 წელს ქალაქ ფოთის ქუჩებისა და მეოდნების ნავთით განათების საქმე. იჯარადარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უზრუნველ საყოფელად საჭიროა ბე—ათი პროცენტი საჯარო ფულისა. იჯარა სულ 6000 მანეთია გამოანგარიშებული. ბე შეიძლება შეტანილ იქმნას ნაღდ ფულად, რუსეთის სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ აქციებით და ობლიგაციებით, აგრეთვე სხვა ქაღალდებით, რომელთა ბედ მიღებაც ნება დართულია სახელმწიფო იჯარების გაცემის დროს. კონდიციებისა, ქალაქის გეგმისა და სხვა ცნობების განხილვა შეიძლება ფოთის ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 12 საათამდე. (3—ნ.—1)

22 ნოემბერს, 1901 წელს, საღამოს 8 საათზედ, **სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც 1902 ლის პირველ იანვრიდგან იჯარით გაიცემა 24 ნომრისაგან შემდგარი ზემო სართული იმ შენობისა, სადაც დღეს მოთავსებულია „სლავიანის ნომრები“ (სასტუმრო) და სამი დუქანი, რუსის ქუჩაზედ, მე-3 ნაწილში. იჯარის პირობების ნახვა შეიძლება სამზრუნველოს საბჭოში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან შუადღის 12 საათამდე.

(2—240—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.